განკარგულება:**g-29.29220771**
თარიღი:**18/03/2022**

საკრებულოს გამოკლებული წევრის ამბერკი დოლაკიძის ადგილმონაცვლის ფრიდონ გვენეტაძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-6 ნაწილის, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N 7 დადგენილების მე-13 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 პუნქტების, N 49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის 2022 წლის 7 მარტის N 49/6 წერილისა და იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 16 მარტის N2 დასკვნის საფუძველზე, საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. ცნობილ იქნას საკრებულოს გამოკლებული წევრის ამბერკი დოლაკიძის ადგილმონაცვლის ფრიდონ გვენეტაძისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

მუხლი 2. განკარგულება გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და N 49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 3. განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ, ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი